პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საჯარო მმართველობის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სტუ) არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი (რეფერატი), სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება. ასევე, უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება. ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/Science/doctorantura.php

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: https://gtu.ge/

პროგრამის მიზანია:

- ✓ საჯარო მმართველობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით მოამზადოს კვლევის დაგეგმვის და განხორციელების უნარის მქონე, კვლევის სტრატეგიულ მიმართულებებზე ორიენტირებული, შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი მკვლევარები.
- ✓ შესძინოს კურსდამთავრებულებს სახელმწიფოს მშენებლობის, მისი კონსტიტუციური მოწყობისა და ეფექტიანად მართვის მიმართულებით ინოვაციური მეთოდების შემუშავების, კვლევის და გამოყენების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა.
- ✓ აღჭურვოს კურსდამთავრებულები აკადემიური/პედაგოგიური საქმიანობის, აგრეთვე საჯარო სამსახურის, სახელმწიფო მართვის ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებში ინოვაციური საქმიანობისა და კვლევის განხორციელების უნარით, ჩამოუყალიბოს სფეროს მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული ხედვა და განუვითაროს შესაბამისი უნარები აკადემიურ და სფეროს მკვლევართა საზოგადოებაში თავისუფლად ინტეგრაციისთვის.
  შესძინოს კურსდამთავრებულებს ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დამყარებული ცოდნით საჯარო მმართველობის სფეროს წინაშე არსებული გამოწვევების ანალიზის, შეფასების და გადაწყვეტის უნარი, პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

ფლობს საჯარო მმართველობის დარგის თეორიების, სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისა თანამედროვე პარადიგმებზე დამყარებულ უახლეს ცოდნას, რომელიც იძლევა არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას საჯარო მმართველობის ადგილობრივი და უცხოური სისტემების ფუნქციონირების შესახებ;

აანალიზებს დარგის უახლესი მიღწევების შედეგებს, რომლებსაც იყენებს კვლევითი პროექტების განხორციელებისას და პროფესიული საქმიანობისას;

გეგმავს თეორიულ კვლევებს საჯარო მმართველობის თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
ახდენს საჯარო მმართველობის ძირითადი თეორიების და წინააღმდეგობების იდენტიფიცირებას, ახსნას და დაკავშირებას კონკრეტულ კვლევასთან;

ასაბუთებს ინოვაციური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების შემუშავების აუცილებლობას საჯარო მმართველობის მიმართულებით, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება სამეცნიერო პუბლიკაციებში, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში;

არგუმენტირებულად იცავს საკუთარ მოსაზრებებს საჯარო მმართველობის პრობლემური საკითხების კვლევისა და გადაწყვეტის გზებისა და მეთოდების შესახებ სემინარებზე და კონფერენციებზე გამართულ დისკუსიებში;
შეიმუშავებს და ახორციელებს საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საზოგადოების აქტიური თანამშრომლობის ფორმებსა და მეთოდებს თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებით;

იცავს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს სწავლისა და კვლევის პროცესში;

შეუძლია საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში საკუთარი დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით მოახდინოს არსებული ცოდნის გაფართოება და ახალი ცოდნის შექმნა, მისი დასაბუთებულად, მკაფიოდ წარმოჩენა და გადაცემა როგორც სწავლის ან საქმიანობის პროცესში, ასევე კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისთვის;

დამოუკიდებლად იღებს საჯარო მმართველობის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის სწორ და ეფექტიან გადაწყვეტილებებს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეების, მიდგომების, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების საფუძველზე;

აყალიბებს ცოდნის გადაცემაზე ორიენტირებული აკადემიური საქმიანობისას საკუთარი კვლევის შედეგებს/მოსაზრებებს და უზიარებს კოლეგებსა და ფართო საზოგადოებას მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად/რეფერირებად გამოცემებში პუბლიკაციების საშუალებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.
სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) – ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
  (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი“:

https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	კრედიტი
1.	აკადემიური და სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა B	5
2.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	5
3.	კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში (დოქტორანტებისათვის)	10
4.	ადმინისტრაციული მეცნიერებების თეორია და პრაქტიკა	10
5.	ორგანიზაციული განვითარება და ცვლილებების მართვა	5
6.	პროფესორის ასისტენტობა (საჯარო მმართველობა)	10
	არჩევითი საგნები	
7.	გადაწყვეტილებების მიღება და საზოგადოებრივი პოლიტიკის ანალიზი	5
8.	Strategic Planning in Public Administration (სტრატეგიული დაგეგმვა საჯარო მმართველობაში)	5
9.	Political Marketing and Forecasting (პოლიტიკური მარკეტინგი და პროგნოზირება)	5
	კვლევითი კომპონენტი	